



თბილისელთა
აღვრენები

საგადასახადო დავა და საგადასახადო შეთანხმება



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE



Sida

ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის დახმარებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლებელია შეხედულებები არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, USAID-ის, ამერიკის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.

ავტორი მარია კაპანაძე

პუბლიკაცია მომზადებულია 2011 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით

ტირაჟი: 1000

სარჩევი:

- შესავალი 5
- მარეგულირებელი კანონმდებლობა 5
- საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები 6
 - დავის განხილვა ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში..... 6
 - დავის განხილვა სასამართლოში 7
- დავის დაწყების საფუძველი – საგადასახადო მოთხოვნა, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი 8
 - საგადასახადო მოთხოვნა 8
 - გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა ... 11
 - საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი..... 12

● გასაჩივრების წესი.....	12
● საჩივრის განხილვაზე უარის თქმა.....	14
● საჩივრის განხილვის ვადა	16
● საჩივრის განხილვის შეჩერება	18
● საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადანყვეტილების გასაჩივრება.....	19
● გადანყვეტილების ძალაში შესვლა და მისი შესრულება.....	20
● გადანყვეტილების განმარტება	20
● დავის განახლება.....	21
● საგადასახადო შეთანხმება.....	21
● ვადების დარღვევა და შედეგი ვადის დარ- ღვევისათვის	26
● საგადასახადო შეთანხმების ფორმა.....	29
● საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრება	30

მარიუგულირიბელი კანონმდებლობა

1. 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

2. 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

3. 2011 წლის 12 ივლისის საქართველოს მთავრობის 278-ე დადგენილება “საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ”.

შესავალი

საგადასახადო დავის არსებობის შემთხვევაში მისი განხილვის შესაძლებლობა გადასახადის გადამხდელს აქვს როგორც ფინანსთა სამინისტროში სისტემაში, ასევე სასამართლოში. ამასთანავე, მომჩივანს საგადასახადო დავის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს, სადაც დავის წარმოების წესები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით.

საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები

დავის განხილვა ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავას განიხილავს შემოსავლების სამსახური. სადავო საკითხის ნაწილობრივ ან სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში. დავების განხილვის საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს საბჭოში შესული საჩივრების მომზადებას განსახილველად, მომჩივნისათვის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებასა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაფორმებას. ასევე, აპარატს უფლება აქვს თავისი ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით დავის მხარეებთან ჩაატაროს მოსამზადებელი შეხვედრა საჩივარში მითითებული გარემოებების დასაზუსტებლად.

დავის განხილვა სასამართლოში

მხარეს დავის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია დავა გააგრძელოს სასამართლოში.

სასამართლო, დავის მონაწილე მხარეებს უგზავნის უწყებას, სადაც მითითებულია უწყების გაგზავნის თარიღი, პროცესის ჩატარების დრო და ადგილი და საქმის განმხილველი მოსამართლე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვისა.

პირველის ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარ-

მოებაში მიღებიდან, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. საგადასახადო დავებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისათვის გადასაცემად.

დავის დანყების საფუძველი – საგადასახადო მოთხოვნა, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი

საგადასახადო მოთხოვნა

საგადასახადო მოთხოვნა გამოიცემა საგადასახადო შემონმების შედეგებზე და იგი დავის დანყების ერთ-ერთი საფუძველია.

საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა. საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა, თუ არსებობს მისი

წარდგენის შემდეგი ერთ-ერთი საფუძველი:

ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშება საგადასახადო ორგანოს ვალდებულებაა;

ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადანყვეტილება ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;

გ) თუ არსებობს გადანყვეტილება მესამე პირის მიმართ გადახდევინების მიქცევის შესახებ (აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ როდესაც გადასახადის გადამხდელს იმდენად მცირე ქონება აქვს, რომ ვერ უზრუნველყოფს გადასახადის გადახდევინებას და ამასთან, გადასახადის გადამხდელის დავალიანება აქვს მე-3 პირს. ამგვარი დავალიანების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს გადანყვეტილების ან სხვა მტკიცებულების საფუძველზე).

პირს წარედგინება მხოლოდ ერთი საგადასახადო მოთხოვნა კონკრეტული საფუძველის არსებობისას. პირს უფლება აქვს საგადასახადო მოთხოვნა გაასაჩივროს მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში. იმ

შემთხვევაში, თუ არ მოხდება გასაჩივრება საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული დავალიანება ითვლება აღიარებულად და მასზე მიექცევა საგადასახადო ორგანოების მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებები (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, ინკასო, ყადაღა და სხვა).

გარდა ზემოაღნიშნული გარემოებისა (საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის გასვლა) აღიარებული საგადასახადო დავალიანება წარმოიშობა:

ა) პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე;

ბ) პირის მიერ წარდგენილი სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არ გაუშვას გასაჩივრების ვადა, რომ დავალიანება არ ჩაეთვალოს აღიარებულად. აღნიშნული ართმევს მას შესაძლებლობას იდავოს როგორც ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, ისე სასამართლოში თუ ახალი გარემოება არ გამ-

ოვლინდა, რაც დავის განახლების საფუძველი გახდება.

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

საგადასახადო კოდექსი იცნობს ასევე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის ცნებას. ის არის პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი მოთხოვნა გადასახადის ან/და სანქციების ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ. თუ საგადასახადო ორგანო მიიჩნევს, რომ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, იგი ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან 20 დღის ვადაში გადასახადის გადამხდელს წარუდგინოს დასაბუთებული შესაგებელი.

გადასახადის გადამხდელს შეუძლია გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს შესაგებელი 20 დღის ვადაში ფინანსთა სამინისტროს სისტემაში (ზემოთ აღწერილი წესით) ან სასამართლოში.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი

გადასახადის გადამხდელმა შეიძლება ჩაიდინოს საგადასახადო სამართალდარღვევა. მაგალითად, არ გამოიყენოს სალარო აპარატი და არ გამოწეროს ჩეკი, როცა ამის ვალდებულება აქვს. საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს სამართალდარღვევების სხვა სახეებსაც და ადგენს კონკრეტულ ჯარიმებს მათთვის. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი/ბრძანება საჩივრდება შემოსავლების სამსახურში სამართალდარღვევის ოქმის ან ბრძანების ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

ბასაჩივრების წესი

საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (საგადასახადო მოთხოვნა, უარი გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი) საჩივრდება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში. ძალიან მნიშვნელოვანია გადასახადის გადამხდელისთვის, რომ დაიცვას გასაჩივრების 20 დღიანი ვადა, რომლის დარღვევის შემთხვევაში დავალიანება ავტომატურად

მიიჩნევა აღიარებულად. 20 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დავის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების ან მტკიცებულებების საფუძველით.

საჩივარი დავის განმხილველ ორგანოს უნდა წარედგინოს წერილობით ან ელექტრონული სახით. საჩივრის ელექტრონულ ფორმას აქვს ისეთივე ძალა, როგორც წერილობითს.

დავის განმხილველი ორგანო საჩივარს წარმოებაში არ მიიღებს, თუ იგი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს, კერძოდ:

ა) საჩივარში მითითებული არ არის მომჩივანის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი და საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ბ) საჩივრიდან არ ირკვევა მოთხოვნის არსი;

გ) საჩივარს თანდართული არ აქვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მის გამოცემასთან დაკავშირებული დოკუმენტის ასლი;

დ) საჩივარი ან მისთვის დართული დოკუმენტები დაუნომრავია;

ე) საჩივარი ან მისთვის დართული დოკუმენტაცია არ იკითხება;

ვ) საჩივარი და მისთვის დართული დოკუმენტაცია არ არის შედგენილი საქართველოს სახელმწიფო ენაზე;

ზ) საჩივარი ხელმოუწერელია, გარდა ელექტრონულად წარმოდგენილი საჩივრისა.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს წარმოებაში საჩივარი მიუხედავად ხარვეზისა, თუკი იგი ხელს არ უშლის საჩივრის განხილვას. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს, მომჩივანს ამის შესახებ ეცნობება წერილობითი ფორმით და მიეცემა არანაკლებ 5 დღე საჩივარში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. მომჩივანის მოტივირებული მოთხოვნის არსებობისას, დავის განმხილველ ორგანოს შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული ვადა.

საჩივრის განხილვაზე უარის თქმა

დავის განმხილველი ორგანო არ განიხილავს საჩივარს, თუ:

1) მომჩივანი უარს აცხადებს საჩივრის განხილვაზე;

2) საჩივრის მოთხოვნის საგანი სცილდება დავის განმხილველი ორგანოს განსჯად საკითხებს;

3) საჩივარი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილია პირი, თუ წარმოადგენს სანოტარო წესით დამონმებულ მინდობილობას გაცემულს გადასახადის გადამხდელის მიერ გარკვეული უფლებამოვალეობების მის ნაცვლად შესრულების მიზნით. ასევე, უფლებამოსილი პირია საწარმოს დირექტორი);

4) არ არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება (სამართალდარღვევის ოქმი, საგადასახადო მოთხოვნა ან ბრძანება);

5) გასულია საჩივრის წარდგენის 20 დღიანი ვადა;

6) საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს და მომჩივნის მიერ არ იქნა გამოსწორებული ხარვეზი დავის განმხილველი ორგანოს მიერ დადგენილ 5 დღიან ვადაში;

7) არსებობს იმავე მომჩივანის მიერ იმავე დავის საგანზე იმავე ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

8) გასაჩივრებული გადაწყვეტილება

გამოცემულია იმავე პირის მიმართ იმავე დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

9) მომჩივანმა იმავე დავის საგანზე მიმართა სასამართლოს;

10) მომჩივანი გარდაიცვალა;

11) გასაჩივრებულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია აღიარებული საგადასახადო დავალიანება. საჩივარი არ განიხილება აღიარებული საგადასახადო დავალიანების ნაწილში;

12) მომჩივანის მოძიება შეუძლებელია;

13) საჩივარი ანონიმურია;

14) გასაჩივრებულ საგადასახადო დავალიანებაზე გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის.

საჩივრის განხილვის ვადა

საჩივარი განიხილება დავის განმხილველი ორგანოს მიერ 20 დღის ვადაში. მომჩივნის მონაწილეობით, თუმცა შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს მომჩივანის დაუსწრებლად განიხილოს საჩივარი, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებუ-

ლი ფაქტობრივი გარემოებები. საჩივრის ზეპირი განხილვის თაობაზე მომჩივანს ეცნობება დავის განმხილველი ორგანოს ხელთ არსებული საშუალებით (ტელეფონით, დაზღვეული ან ელექტრონული ფოსტით, ტექსტური შეტყობინებით და ა.შ.). ხოლო მომჩივანთან დაკავშირების შეუძლებლობისას, საჩივარი განიხილება მის დაუსწრებლად.

მომჩივანი თავის ინტერესებს იცავს პირადად ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის (წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი პირი, რომელიც მოქმედებს გადასახადის გადამხდელის სახელით სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის ან გადასახადის გადამხდელის მიერ გაცემული რწმუნებულების საფუძველზე) მეშვეობით და ამასთანავე, მათ აქვთ უფლება დაესწრონ განხილვას პირადად ან დისტანციურად ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

დავის განმხილველი ორგანო ან მისი აპარატი უფლებამოსილია მოსთხოვოს მომჩივანს საჩივრის შესახებ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რა დროსაც ჩერდება საჩივრის განხილვა.

საჩივრის განხილვის შეჩერება

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე შეაჩეროს საჩივრის განხილვა დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოსაპოვებლად. შეჩერების ხანგრძლივობა საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 45 დღეს.

საჩივრის განხილვის შეჩერებისას დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დაავალოს მომჩივანს ან/და საგადასახადო ორგანოს წარმოადგინოს ინფორმაცია ან დოკუმენტაცია საჩივრის ფარგლებში განსახილველი საკითხების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება დავის განმხილველი ორგანოს დავალების შესრულება განსაზღვრულ ვადაში, ამის შესახებ გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოს დავის განმხილველ ორგანოს.

დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს, ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს საჩივარი, მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება და შეაჩეროს საჩივრის განხილვა, განუხილველად დატოვოს საჩივარი.

დავის განმხილველი ორგანოს შუალედური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმებული ნაწილის პროპორციულად უქმდება ამავე ორგანოს მიერ გამოცემული აქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო გამოცემულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების დამონმებული ასლი მისი მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მხარეებს.

საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივანისათვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომჩივანს უფლება აქვს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში. ხოლო დავების საბჭოს გადაწყვეტილება, ასევე 10 დღის ვადაში, გაასაჩივროს სასამართლოში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მომჩივანის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საგადასახადო დავის გაუგრძელებლობა

ითვლება გასაჩივრებული საგადასახადო დავალიანების აღიარებად.

გადანყვეტილების ქალაში შეს- ვლა და მისი შესრულება

დავის განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მომჩივანისათვის მისი ჩაბარებიდან მე-11 დღეს მისი გაუსაჩივრებლობის შემთხვევაში. ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა. ამასთანავე, მომჩივანს უფლება აქვს მიმართოს დავის განმხილველ ორგანოს და მიანოდოს ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების შესახებ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება შესაძლებელია აღმასრულებელი ორგანოს მოტივირებული წერილობითი მოთხოვნისა და განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

გადანყვეტილების განმარტება

მომჩივანსა და საგადასახადო ორგანოს უფლება აქვთ მიმართონ დავის განმხილველ ორგანოს მის მიერ მიღებული გადან-

ყვეტილების განმარტების მიზნით და ამ შემთხვევაში მოქმედებს იგივე ვადები, რაც საჩივრის განხილვისას. განმარტება გადანყვეტილების განუყოფელი ნაწილია და იგი ეგზავნება დავაში მონაწილე პირებსა და ორგანოებს.

დავის განახლება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განახლება დასაშვებია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების შემთხვევაში, გადანყვეტილების მიღებიდან 6 წლის ვადაში, დავის განახლების მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მომჩივანს.

საგადასახადო შეთანხმება

საგადასახადო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს:

1. გადასახადების ან/და სანქციების შემცირების მიზნით გადასახადის გადამხდელის მიერ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობის ფარგლებში;
2. გადასახადის გადამხდელის მიერ არადეკლარირებული საგადასახადო ვა-

ლდეულებების განსაზღვრის ან/და შემცირების მიზნით გადასახადის გადამხდელის მიერ მითითებულ საგადასახადო პერიოდზე/პერიოდებზე და გადასახადის სახეების მითითებით;

3. მომავალ საგადასახადო პერიოდში/პერიოდებში დასადეკლარირებელი საგადასახადო ვალდებულების შესრულების გადავადების მიზნით.

საგადასახადო შეთანხმება არ შეიძლება გაფორმდეს:

1. თუ ადგილი აქვს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევას;

2. საგადასახადო შეთანხმება არ გაფორმდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ჯარიმებზე (კოდექსი ადგენს სამართალდარღვევების კონკრეტულ სახეებს, აღწერს მათ და აწესებს სხვადასხვა ოდენობის ჯარიმებს. კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ ყველა სხვა დანარჩენი დარღვევა განეკუთვნება 100 ლარით დასაჯარიმებელ დარღვევას. სწორედ ეს დარღვევები იგულისმება სხვა ჯარიმებში).

იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მომავალ საგადასახადო პერიოდში დასადეკლარირებელი საგადასახადო ვალდებულების შესრულების გადავადებას, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს და წლიური სარგებელი 4%-ს. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისია, თუ პირი ახორციელებს უძრავი ქონების შექმნას, მართვას ან რეალიზაციას.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით გადასახადის გადამხდელი მიმართავს შემოსავლების სამსახურს განცხადებით, რომელშიც უნდა მიეთითოს შემდეგი:

1. გადასახადის გადამხდელის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ასევე სხვა რეკვიზიტები (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი);

2. მიღწეული შეთანხმების შინაარსი და პირობები;

3. საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრების ვადა და წესი.

შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია:

1. უარი თქვას გადასახადის გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე;

2. აღნიშნული განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ამ დოკუმენტაციას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადანყვეტილებას იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მისი ბრძანებით განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობა და გადახდის ვადა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია განისაზღვროს თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილი იქნება გააფორმოს საგადასახადო შეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანების გარეშე.

შემოსავლების სამსახური საქართ-

ველოს პრემიერ-მინისტრის გადანყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს შეუმცროს გადასახადები ან/და სანქციები, თუ გადასახადის გადამხდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადანყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში გადაიხდის საგადასახადო შეთანხმებით განსაზღვრულ გადასახდელ თანხას. აღნიშნული პირობის შესრულების შემდეგ გადასახადის გადამხდელისათვის შესაბამისი გადასახადების ან/და სანქციების შემცირება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შემოწმების ჩატარებამდე ან შემოწმების დასრულებამდე განაცხადებს მის მიერ არადეკლარირებული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების ჯამურ ოდენობას, შემოსავლების სამსახური საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადანყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელთან გააფორმოს საგადასახადო შეთანხმება. გადასახდელი თანხის დაფარ-

ვა უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის გად-
ანყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

ვადების დარღვევა და შედეგი ვადის დარღვევისათვის

საგადასახადო შეთანხმებით გათვალ-
ისწინებული საგადასახადო ვალდებულე-
ბების შესრულების ვადების დარღვევის
შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს
სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ
დაეკისრება გადაუხდელი თანხის 0.5 პრო-
ცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე,
მაგრამ არაუმეტეს საგადასახადო შეთ-
ანხმებით გადასახდელად განსაზღვრული
მთლიანი თანხის 10 პროცენტისა.

მნიშვნელოვანია ის, რომ არადეკლარი-
რებული საგადასახადო ვალდებულებების
განსაზღვრის ან/და შემცირების შესახებ
საგადასახადო შეთანხმების გაფორმების
შემდეგ დაუშვებელია საგადასახადო შეთ-
ანხმებით გათვალისწინებულ პერიოდზე
ან/და შეთანხმებით გათვალისწინებულ გა-
დასახადის (გადასახადების) სახეებზე გა-
დასახადის გადამხდელის მიერ საგადასახ-
ადო დეკლარაციით ვალდებულებების და-
ზუსტება, ასევე საგადასახადო ორგანოს

მიერ საგადასახადო ვალდებულებების დამატებით დარიცხვა (გარდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევისა).

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საგადასახადო დავალიანება ითვლება აღიარებულად გადასახადის გადამხდელის მიერ, თუ გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება გადასახადის გადამხდელის მიერ მომავალ საგადასახადო პერიოდში დასადეკლარირებელი საგადასახადო ვალდებულების შესრულების გადავადება, მაშინ:

1. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს წარადგინოს შესრულებული საგადასახადო დეკლარაცია და დააზუსტოს გადავადებული საგადასახადო ვალდებულება. ამასთანავე, საგადასახადო ვალდებულების დაზუსტებით არ იზრდება საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის ოდენობა;

2. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია ჩაატაროს იმ საგადასახადო პერი-

ოდის/პერიოდების საგადასახადო შემონ-
მება, რომლის/რომელთა განმავლობაში
წარმოშობილი საგადასახადო ვალდებ-
ულებაც გადავადებულია და განსაზღვროს
საგადასახადო ვალდებულების ოდენობა.
ამასთანავე, საგადასახადო ორგანოს მიერ
დამატებით დარიცხულ თანხაზე არ ვრ-
ცელდება საგადასახადო შეთანხმების პი-
რობები;

3. საგადასახადო შეთანხმება შესაძლე-
ბელია შეწყდეს გადასახადის გადამხდელ-
ის ინიციატივით, გადავადებული საგა-
დასახადო ვალდებულების შესრულების
შემთხვევაში;

4. საგადასახადო შეთანხმებით გათვალ-
ისწინებული გადასახადის თანხას საურავი
არ ერიცხება;

5. გადასახადის გადამხდელის მიერ
საგადასახადო შეთანხმების პირობების
დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო
შეთანხმების შეწყვეტისას საგადასახადო
შეთანხმებით გათვალისწინებული გად-
ასახადის გადაუხდელ თანხას ერიცხება
საურავი შესაბამისი გადასახადისათვის ამ
კოდექსით დადგენილი გადახდის ვალდებ-
ულების წარმოშობის თარიღიდან.

საგადასახადო შეთანხმების ფორმა

საგადასახადო შეთანხმების აქტი ფორმდება შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის და მასში უნდა აღინიშნოს:

1. გადასახადის გადამხდელის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ასევე სხვა რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში);

2. მიღწეული შეთანხმების შინაარსი და პირობები;

3. საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრების ვადა და წესი.

საგადასახადო შეთანხმების გა- საჩივრება

გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო შეთანხმება შეიძლება გაასაჩივროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო შეთანხმება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ (მაგალითად: საგადასახადო შეთანხმებას ხელი მოაწერა შემოსავლების სამსახურის რიგითმა თანამშრომელმა).

მისამართები

1. გლდანი, მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია სს. “ელეგანტი” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 841;

2. ელიავას ბაზრობა, შპს. “სავაჭრო ცენტრი დიდუბე” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 844;

3. სავაჭრო ცენტრი პასაჟი (ვაგზლის მოედანი), ბაზრობის ადმინისტრაციის შენობა;

ტელ: 577 255 847

4. სავაჭრო ცენტრი კიდობანის მიმდებარე ტერიტორია შპს. “თერგი I” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 846

5. ისნის ბაზრობა-მეტრო ისნის მიმდებარე ტერიტორია, შპს. “ტრანსსერვისის” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 849;

6. შუამთის ქ. #16 ვარკეთილის ბაზრობა შპს. “ვარკეთილი-96” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 838;

7. ლილოს ბაზრობა შპს. “ელსავაკო” (ბაზრობის ადმინისტრაცია) ადმინისტრაციული შენობა;

ტელ: 577 255 843